ქალაქ გორში რკ/სადურის დასახლებაში საკანალიზაციო ქსელის გამწმენდი ნაგებობის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით

ქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 2

17 ნოემბერი 2014 წელი

ქ. გორი

სხდომას ესწრებოდნენ:

ზურაბ ჯირკველიშვილი- კომისიის თავმჯდომარე, ქ გორის მუნიციპალიტეტის მერი;

გიორგი რაზმაძე -კომისიის წევრი, მერის მოადგილე;

დალი ტლაშაძე-კომისიის წევრი, საფინანსო სამსახურის უფროსი;

თეიმურაზ მანველიშვილი- კომისიის წევრი, იურიდიული სამსახურის უფროსი;

მირიან კლიმიაშვილი -კომისიის წევრი, მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი;

გიორგი გაგნიძე -კომისიის წევრი, მერიის ზედამხედველობის სამსახურის შესყიდვების ხარისხის კონტროლის განყოფილების უფროსი;

ზურაბ ჯალაღანია-კომისიის წევრი, მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილების უფროსი;

მურაზ შიოშვილი-კომისიის აპარატის წევრი, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

ლევან ხალიშვილი-კომისიის აპარატის წევრი, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

სხდომას არ ესწრებოდა:

ნინო წეწვაძე-კომისიის წევრი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

დღის წესრიგი:

ქალაქ გორში რკ/სადურის დასახლებაში საკანალიზაციო ქსელის გამწმენდი ნაგებობის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA140024769) შეწყვეტის შესახებ.

განხილვა.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა ლევან ხალიშვილმა მოახსენა სატენდერო კომისიას იმის შესახებ, რომ გამოცხადებულ ელექტრონული ტენდერის (SPA140024769) სატენდერო დოკუმენტაციაში გაპარულია ტექნიკური უზუსტობა, №5 ფასების ცხრილში, კერძოდ ღობე და ჭიშკარის მე-8 გრაფაში ჭიშკრიდან შენობის შესასვლელამდე საგზაო ბეტონის ფილების მოწყობა ზომით 3მX6მ ფასების ცხრილში ნაცვლად 6-ისა მითითებულია 1200 ცალი, მაშინ როცა სატენდერო ღირებულება განსაზღვრული არია 6 ცალის საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით.

სატენდერო კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე და დააყენეს საკითხი გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA140024769) შეწყვეტის შესახებ, რასაც კომისიის ყველა წევრი დაეთანხმა.

კომისიამ დაადგინა:

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის, 1-ლი პუნქტის g^1 ქვეპუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის მიერ 2014 წლის 23 ოქტომბერს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი (SPA140024769) შეწყვეტილი იქნეს.

2. „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-2 მუხლის, 1-ლი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ელექტრონულ ტენდერს (SPA140024769) მიენიჭოს სტატუსი- ტენდერი შეწყვეტილია

3. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს უზრუნველყოს წინამდებარე ოქმის განთავსება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჯირკველიშვილი

კომისიის წევრები: გიორგი რაზმაძე

დალი ტლაშაძე

თეიმურაზ მანველიშვილი

მირიან კლიმიაშვილი

გიორგი გაგნიძე

ზურაბ ჯალაღანია

ოქმი მოამზადა მურაზ შიოშვილმა